ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 42-Ე ᲬᲚᲘ. № 171 (12085) | ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 29 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 1961 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ნ. ს. ხრუშჩოვი ყუბანში

ᲡᲢᲐᲜᲘᲪᲐ ᲜᲝᲕᲝᲠᲝᲡᲘᲡᲙᲐᲘᲐ. (ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲓᲐᲠᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔ), 28 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲙᲫᲔᲡᲘ). ᲬᲗᲔᲡ ᲡᲝᲩᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲗᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲘᲐᲜᲘ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲘ **ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ** ᲧᲣᲑᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲨᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ.

ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ ᲔᲬᲕᲘᲐ ᲧᲣᲑᲐᲜᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲪᲔᲜᲢᲠᲝ-ᲡᲐᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲡ, ᲘᲧᲝ ᲒᲣᲚᲙᲘᲕᲩᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ „ᲮᲣᲢᲝᲠᲝᲙᲘᲡ“ ᲭᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ, ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲐ „ᲧᲣᲑᲐᲜᲘᲡ“ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲧᲐᲜᲔᲑᲨᲘ.

ᲧᲣᲑᲐᲜᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲑᲘ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲡᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲕᲠᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ **Გ. Ი. ᲕᲝᲠᲝᲜᲝᲕᲘ,** ᲡᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲕᲠᲜᲘ **Დ. Ბ. ᲞᲝᲚᲘᲐᲜᲡᲙᲘ,** ᲡᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲕᲠᲜᲘ **Გ. Თ. ᲞᲝᲚᲓᲒᲝᲠᲜᲘ,** ᲡᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲗᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲘᲐᲜᲘ **Გ. ᲞᲐᲞᲐᲕᲐᲜᲐᲫᲔ,** ᲡᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲕᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ, ᲡᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲗᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲘᲐᲜᲘ **Გ. Პ. ᲨᲐᲠᲐᲕᲘᲜᲐ,** ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲗᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲘᲐᲜᲘ **Გ. Პ. ᲛᲔᲤᲐᲕᲐᲜᲐᲫᲔ,** ᲡᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲕᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ.

ᲧᲣᲑᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ. ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲓᲔᲠᲜᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲛᲔᲣᲠᲔᲠᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲗ ᲐᲠᲐᲣᲛᲔᲢᲔᲡ 12 ᲬᲣᲗᲘᲡᲐ.

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐ Ა. Ი. ᲝᲡᲙᲘᲜᲛᲐ ᲗᲥᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲓᲔᲚᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲘᲗᲘᲡ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ 450 ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲜᲘᲠᲘ ᲭᲐᲠᲑᲐᲚᲘ. ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲐᲮᲚᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲣᲚ ᲪᲘᲠᲐ 240 ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲜᲘᲠᲘ.

ᲜᲘᲙᲘᲢᲐ ᲡᲔᲠᲒᲘᲡ-ᲫᲔ ᲐᲪᲘᲜᲗᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲓᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲓᲔᲠᲜᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ. ᲛᲐᲜ ᲣᲠᲩᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ, ᲙᲐᲠᲒᲘ ᲞᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲣᲧᲝᲕᲜᲔᲚᲘ ᲧᲣᲑᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ.

ᲜᲘᲙᲘᲢᲐ ᲡᲔᲠᲒᲘᲡ-ᲫᲔ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲨᲘ, ᲒᲣᲚᲣᲚᲐᲛᲘᲗ ᲓᲐᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲨᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲨᲘ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ. ᲡᲣᲚ ᲪᲝᲢᲐ 240 ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲜᲘᲠᲘ.

ᲜᲘᲙᲘᲢᲐ ᲡᲔᲠᲒᲘᲡ-ᲫᲔ ᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲗ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲑᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲗᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲘᲐᲜᲘ **Გ. Ი. ᲖᲝᲠᲜᲝᲕᲘ,** ᲡᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲠᲔᲕᲘᲖᲘᲡ ᲬᲔᲠᲠᲘᲡ ᲬᲕᲠᲜᲘ **Გ. ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲔᲕᲘ,** ᲡᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲕᲠᲜᲘ **Გ. ᲨᲐᲠᲐᲕᲘᲜᲐ,** ᲡᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲗᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲘᲐᲜᲘ **Გ. ᲞᲐᲞᲐᲕᲐᲜᲐᲫᲔ,** ᲡᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲕᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲡᲣᲓᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲕᲔᲣᲜᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲡᲣᲓᲐᲜᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲛᲚᲘᲕᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲔ ᲘᲛᲘᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲗ ᲡᲣᲓᲐᲜᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ

რიონიდან — ანგარამდე

შეხვედრა ქუთაის-ბრატსკის გადარგენის მონაწილეებთან

ქუთაისი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი დიდმა სიხარულმა მოიცვა — შორეული რეისიდან დაბრუნდნენ ქუთაის-ბრატსკის ავტოგადარბენის მონაწილენი, რომლებმაც ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კონსტრუქტორების მიერ შექმნილი ახალი მანქანით „კაზ-605“-ით ცხრა ათასამდე კილომეტრი გაიარეს.

ამ რეისმა ორ თვეს გასტანა. მასში მონაწილეობდნენ გამომცდელი მძღოლები ვ. შენგელია, ბ. ვაშაკიძე, ლ. ამბროლაძე, გ. კვერნაძე, ინჟინერ-გამომცდელი ჯ. კირთაძე, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ სპეციალური კორესპონდენტები ლ. მაჩაიძე და ნ. თუთბერიძე. მათ ბრატსკის ჰესის მშენებლებს გადასცეს ენგურის ჰიდროელექტროსადგურის ქართველ მშენებელთა ძმური სალამი და ჩაუტანეს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება, გააფორმეს ორმხრივი ვალდებულებანი.

ქუთაისელ ავტომობილმშენებელთა რეისის წარმატებით დამთავრების გამო საექსპერიმენტო საამქროში გაიმართა მიტინგი. მიტინგი გახსნა საამქროს პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ა. ხერეთელმა.

მიტინგის მონაწილეებს მგზავრობის შთაბეჭდილებანი გაუზიარა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ სპეციალურმა კორესპონდენტმა ლ. მაჩაიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ გარბენის დროს ქუთაისურმა ავტომანქანამ საუკეთესო საექსპლოატაციო თვისებები გამოამჟღავნა. ქარხნის მთავარმა კონსტრუქტორმა დ. ქართველიშვილმა ილაპარაკა მუშაობაზე, რომელიც ახალი ავტომობილის შესაქმნელად შესრულდა.

გადარბენის მონაწილეები გაემგზავრნენ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებთან. მათ ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურის კოლექტივის ვალდებულებებს გააცნობენ.

წაღკოზად იქცევა თელეთის მინა

უვიდწლედის ახალ მშენებლობებზე

ბრიოდე კვირაა მთავრობის დავალებით სამგორწყალმშენის ტრესტის კოლექტივი შეუდგა თბილისსათვის ახალი, ჭალაქის შემდგომი განვითარებისათვის, მისი მოსახლეობის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულებას — თელეთის მრავალთახმიანი არტეზიანი, გვალვისაგან ველის მექანიკური სარწყავი სისტემის გაყვანას.

რა მიწებია, რა ნიადაგიო, იფიქრებს კაცი, როცა ამ ველზე აღმოჩნდება, მაგრამ ეს მშვენიერი, მსუყენიადგანი მიწები როდი იძლევიან შესაფერ მოსავალს. მიზეზია ტენიანობის სიმცირე, უწყლობა და ზაფხულობით გარდუვალი გვალვა. ამიტომ იშვიათია, რომ ზემოთელთელი და ქვემოთელთელი მხვნელმთესველნი მოსავლის კმაყოფილნი იყვნენ.

გზატკეცილის ზემოთ შავნაბადას კალთებამდე შეფენილი სივრცე სამი ათასამდე ჰექტარ სახნავ-სათეს ფართობს შეიცავს. უნდა ნახოთ, რა ბეჩავ მდგომარეობაშია აქ ნათესები გაზაფხულის ბოლოდან მოსავლის აღების პერიოდამდე. ჯეჯილს ნაადრევად შეეპარება სიყვითლე, თავთავებს უმწეო სახე აქვთ, თითქოს სთხოვენ ადამიანს, მოგვგვარე სინესტე, მარცვალს დავიმსხვილებთ, სიუხვით გაგახარებთო, მაგრამ დღემდე ადამიანიც უმწეო იყო ამ მხრივ.

როგორც ცნობილია, თბილისის ირგვლივ სერები დაფარულია ხელოვნური ნარგავებით. მრავალი წელიწადია ხელოვნური ტყე გააშენეს იმ სერზეც, რომელიც ტბახმელიდან მტკვრის კალაპოტს გაყოლებით სოღანლუღამდე გაწვდილ ამ ხელოვნურ ტყეში ხეხილის მთელი უბნებია. დაკნინებულან ნარგავები, შეწუხებულან, დაჩიავებულან. წყალი სწყურიათ, და თუ ფეხვებს ზოგჯერ მაინც გაულბომთ, ერთბაშად აიყრიან ტანს, ტოტებს გაშლიან, კვირაობით დასასვენებლად სუფთა პაერზე გასვლის მოტრფიალეებს მწიფე ნაყოფით მიიზიდავენ.

წყალი კი არ არის. მტკვარი შორს, დაბლაა, წვიმის წყალი კი თავს ვერ იკავებს, უმადურად ამცრეფილი მიეკანება ქვემოთ, ხევებისაკენ.

მაგრამ წალე აქაც მოვა წყალი. მოსავალთან ერთად ტყესაც ეშველება.

მთავრობის გადაწყვეტილებით თელეთის მექანიკური სარწყავი სისტემის პირველი რიგის მშენებლობა 1962 წლის ბოლოსთვის უნდა დამთავრდეს. სამშენებლო სამუშაოები ისეა დაგეგმილი, რომ მომავალი წლის ბოლოდან შესაძლებელი იქნეს 8.000-ზდე ჰექტარი ფართობის, ე. ი. თელეთის ველის თითქმის მთელი ის სიგრცის მორწყვა, რომელიც გზატკეცილის ზემოთ შავნაბადას კალთებამდეა შეფენილი.

ამისათვის წყლის რესურსების მხოლოდ ერთი ამოუწურავი მარაგია — მტკვარი.

მაგრამ შავნაბადას კალთები მტკვრის დონიდან მეოთხედ კილომეტრზე მეტი სიმაღლეთა არის დაშორებული. როგორ უნდა მოხერხდეს ასეთ სიმაღლეზე მტკვრიდან წყლის მიყვანა.

სარწყავი სისტემის პროექტი, რომელიც დამუშავებულია საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს საინჟინერო საპროექტო ინსტიტუტის გამოჩენილი სპეციალისტების მიერ, ითვალისწინებს ისეთი ჰიდროტექნიკური ნაგებობების მთელი კომპლექსის აგებას, რომ მათი საშუალებით მტკვრის კალაპოტიდან წყალი ატყორცნილ იქნას მოცემულ სიმაღლემდე.

ამისათვის ხოლანლუღის აქეთ ჭალაქიასაკენ, თბილისის 1500 წლისთავის აღსანიშნავი ობელისკის მახლობლად მშენებლები უკვე შეუდგნენ სატუმბავი სადგურის აგებას. ტუმბოები აქედან წყალს აქაჩავენ ციცაბო სერის შუა წელამდე 125 მეტრის სიმაღლეზე. შემდეგ აქედანაც მეორე ასეთივე სატუმბავი სადგური წყალს ატყორცნის შემდგომ 125 მეტრის სიმაღლეზე და ასე რამდენიმე საფეხურის გადალახვით წყალი მიაღწევს საპროექტო ნიშნულს. ჩაიღრება განმანაწილებელ აუზში, ხოლო შემდეგ თვითდინებით იჩუხჩუხებს საგულდაგულოდ გაყვანილი არხების ქსელში.

მთავარი წყალგანმანაწილებელი არხი, რომელიც ყოველ წამში ორ კუბმეტრ წყალს გაატარებს (ეს საეხებით საკმარისი იქნება პირველ რიგში მოსარწყავი ფართობებისათვის) გაივლის შავნაბადას კალთებზე, თავს დაუვლის ველს გვალვის დამორგუნველად.

ახე მიადწევს მტკვრის წყალი შავნაბადას კალთას, წყურვილს მოუკლავს ჯეჯილს და ბოსტნებს, ხეხილის ბაღებს და ბაღჩებს.

სად წაიღებენ, თუ არა თბილისში, იმდენ კომბოსტოს, ბოსტნეულს, ხილს, ბაღჩეულს, რძეს, რასაც მერძევეობამებოსტნეობის ამ მეურნეობაში მიიღებენ? ეს მეურნეობა უკვე შექმნილია, მთავარია წყალი და აბა, იგიც გაყავთ!

სარწყავი სისტემის მთავარ ტრასზე გაჩაღებული მშენებლობის დასათვალიერებლად მორიგი გასვლისას სამგორწყალმშენის ტრესტის მთავარ ინჟინერს ალექსანდრე კალანდაძეს ეახლა ამ სტრიქონების ავტორი.

მართალს ამბობდა მთავარი ინჟინერი, ნამდვილად რთულ პირობებში უხდებათ მუშაობა მშენებლებს: ციცაბო კლდოვანი სერის კალთებზე, უგზო ადგილებში. ეთისათვის, რომ საქმე სწრაფად წასწიონ წინ, საჭიროა უწინარეს ყოვლისა გზების გაყვანა. ერთი მთავარი მიხასვლელი გზა, რომელიც კორტხზე ადის, უკვე მზად არის, თუმცა ჯერ მოუპირკეთებელია. მეორე გზა სერის შიდა წელისაკენ, სადაც შუალედი სატუმბავი სადგური უნდა აშენდეს, ახლა გაჰკაფავთ ან სულ მოკლე დროში მზად იქნება იმისათვის, რომ მასზე მძიმე ავტომანქანებმა და ტრაქტორებმა უშიშრად იმოძრაონ, სამშენებლო მოედანზე მასალები და მოწყობილობა მიზიდონ.

სერს ჭიანჭველებივით შესევიან ბულდოზერები, გრეიდერები, მიწის სათხრელი მრავალნაირი მექანიზმები. ქვემოთ ამფეთქებლები მუშაობენ, ზემოთ ბეტონის მეურნეობას აწყობენ.

მშენებლებს უკისრიათ, კომუნისტური პარტიის მზრუნველობას, საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის დახმარებას გაათკეცებული შრომით ვუპასუხებთ, პარტიის XXII ყრილობას მთელ ტრასზე მშენებლობის სრული მასშტაბით განაღდებით შეხვდებითო.

— ორი კვირის შემდეგ თუ გამოივლით, აქ სულ სხვა სურათი დაგხვდებათ, თვითონ დარწმუნდებით, რომ ჩვენი სიტყვა და საქმე ერთია. დაპირებას შევასრულებთ, წყალს დათქმულ ვადაზე გავუშვებთ შავნაბადისაკენ, — გვეუბნება სამშენებლო სამუშაოთა ხელმძღვანელი ინჟინერი ნუგზარ ინწკაძე.

სამგორწყალმშენის შრომისმოყვარე, სიძნელეებთან ბრძოლაში ნაცად კოლექტივს დაეჯერება.

შემდეგ, როცა ამ პირველი რიგის სამუშაოებს მორჩებიან, ჯერი თელეთის ველის სხვა უბნების მორწყვაზე მიდგება. გაიცოცხლდება, აყვავდება და ხილის, ბოსტნეულის, რძის, ხორცთა-ხანოგაგის სიუხვის ახალ წყაროდ შემოემატება თბილისს მისი სამხრეთი გარეუბნები.

ახლა კი ამ მიდამოებში ბულდოზერების ორომტრიალი, გრეიდერების გუგუნი ერთვის დიდი ავტომანქანების ქარავანთა ხმაურს, ხოლო დროდადრო ამ ხმაურს მძლავრ აფეთქებათა ხმა ფარავს.

დ. ლომთათაძე.

პარტიის ზესტაფონის რაიკომის პლენუმი

ზესტაფონი. (საკ. კორ.). 28 ივლისს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პლენუმი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1961 წლის 25 ივლისის დადგენილება საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის მუშაობის შესახებ პლენუმს გააცნო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ქადაგიძემ.

კამათში მონაწილეობა მიიღო 11 კაცმა.

პლენუმის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1961 წლის 25 ივლისის დადგენილება და დაგმეს პარტიის რაიკომის მუშაობის არასწორი სტილი.

საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი გ. ხუსკიკაძე პლენუმმა მოხსნა სამუშაოდან და გამოიყვანა რაიკომის პლენუმისა და ბიუროს შემადგენლობიდან.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. პ. სახეჩიძე.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილების საფუძველზე დასახა ვრცელი ღონისძიებანი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგემ ამხ. ი. რთველიაშვილმა.

≈≈○≈≈

ზემო დუშეთში

დუშეთის ქუჩებში რომ გაივლი, გეგონება ქალაქში ვაქას გმირები შემოსულანო. შენობათა კედლებზე აღმართულია ფუნჯით გაცოცხლებული სახეები ბრძენი მინდიასი, გოგოთურისა და აფშინასი, კვირიასი და სანათასი და სხვა საყვარელი გმირებისა, თითქოს ისინიც მონაწილეობდნენ მსოფლიო პოეზიის შესანიშნავი მგოსნის ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე, რომელიც წუხელ დუშეთის კულტურის სახლში გაიმართა.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ბურდულმა.

მოხსენება ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ წაიკითხა პოეტმა ალექსანდრე გომიაშვილმა.

სიტყვებით გამოსულებმა ერთსულოვნად აღნიშნეს: ვაჟა ცოცხლობს. იგი ისევე უკვდავია და მარადიულია, როგორც ჩვენი ცდადაზიდული მწვერვალები.

ვაჟას

ვახტანგ რაზიკაშვილი

ვხედავ რო უკრავ ფანდურსა
და ზედ იმღერი ლექსებსა;
იმღერი ქვეყნის სასმენლად,
ერთურთზე უკეთესებსა.
შენი ლექსია გორდაი,
გულზე მამდები ცეცხლისა —
სიტყვა გაქვს ოქრონაწური,
თქმა უმძიმესი ვერცხლისა.
შენი ნათქვამი შაირი
ფხაშეუშლელი ხმალია;
სამშობლოს კართან მაღალი
მთით ნაძახები ზარია.
შენმა გრძნობათა ნაჟურმა
ბევრჯერ აცრემლა თვალია —
შვლის ნუკრი როცა ვიკითხე,
ბალღ ვიყავ უმეცარია,
მამედვა ჩაუქრობლადა
საკირის ცეცხლის ალია.
გმირებად ზრდიდა ქართველთა
შენის გმირების ჯარია.
ათას ცოცხალსა ბევრჯერა
ასჯერ სჯობს ერთი მკვდარია,
ამბობდი ერთ დროს ჭაბუკი,
დიდო მგოსანო ვაჟაო,
მარად სიცოცხლე შენს აზრებს,
გამარჯვება და ვაშაო!

მთაწმინდა მკერდზე მიგიკრავს —
დიდის სამშობლოს მთა-ბარი,
გულს რომ გადასწვდეს,
შენს გულს კი —
იმდენი მიწა სადარი...
შენი ნათქვამი სიტყვანი
ძელებად უწყვავ კერასა —
ასმევდი უკვდავებასა
ჯიხვის რქით ქართულ ენასა.

სახელი მოამაგისა
უკვდავად ჰპოვე ქვეყნადა;
დარჩები, როგორც მთის ბურჯი,
საქართველოსთან ერთადა!

ეს ლექსი ავტორმა წაიკითხა ვაჟას საიუბილეო სალამოზე 26 ივლისს.

სურათზე: ვაჟა-ფშაველას შვილი ვახტანგ რაზიკაშვილი თავის შვილთან გულქანთან ერთად.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

«კომუნისტის» სიგნალის შემდეგ

„ჩასაცმელად თუ თაროზე დასაწყოგად?“

„კომუნისტის“ 11 ივნისის ნომერში დაიბეჭდა წერილი „ჩასაცმელად თუ თაროზე დასაწყობად“, რომელშიც მხილებული იყო რესპუბლიკის ფეხსაცმლის ფაბრიკებისა და ტყავის ქარხნების ცუდი მუშაობა პროდუქციის დაბალი ხარისხი.

წერილის გამო საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს უფროსის მოადგილემ მ. ჩხეიძემ რედაქციას ავნობა:

რესპუბლიკის ტყავისა და ფეხსაცმლის საწარმოებმა უკანასკნელ პერიოდში საგრძნობი მუშაობა გასწიეს ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ახალი ასორტიმენტის პროდუქციის ათვისებისათვის. მიუხედავად ამისა, ჩატარებულმა შემოწმებამ და გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილმა წერილმა გვიჩვენა, რომ თბილისის პირველი და მეორე ფეხსაცმლის ფაბრიკების, სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის, თბილისის მეორე და ბათუმის მესამე ტყავის ქარხნების მიერ გამოშვებული ზოგიერთი სახის პროდუქცია დაბალი ხარისხისაა, ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. მაგალითად, თბილისის პირველი, ბათუმის მეორე ფაბრიკებისა და სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის მიერ გამოშვებული მამაკაცისა და ბიჭის კომბინირებული ფეხსაცმელი რეზინის ლანჩითა და ქუსლით მეტად მძიმე და გარეგნულად შეუხედავია. ამის გამო რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციები უარს აცხადებენ აღნიშნული პროდუქციის მიღებაზე, იგი ძნელად საღდება.

ფეხსაცმლის ფაბრიკებში საამქროების უფროსები, ოსტატები და ტექნიკური კონტროლიორები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ტექნოლოგიური პროცესების დაცვას, რის გამო წარმოებიდან სავაჭრო ორგანიზაციებს ფეხსაცმელი ბარდებათ დეფექტებით. სავაჭრო ორგანიზაციების კონტროლიორებს ფეხსაცმლის ხაგრძნობი რაოდენობა მაღალი ხარისხიდან დაბალ ხარისხში გადაჰყავთ, ხოლო ნაწილს წარმოებას უბრუნებენ შესაკეთებლად.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მსუბუქი მრეწველობის სამმართველომ ფეხსაცმლის ფაბრიკებსა და ტყავის ქარხნებში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად განახორციელა შემდეგი ღონისძიებანი:

ივნისში სპეციალურად შემოწმდა ტყავის ქარხნების მუშაობა და ეთ მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. მოწვეულ იქნა საწარმოთა დირექტორების, მთავარი ინჟინრების, ტექნიკური კონტროლის განყოფილებათა უფროსების და ზოგიერთი ტყავის ქარხნების საამქროების უფროსების თათბირი ფეხსაცმლის მრეწველობის მუშაკებთან ერთად, თათბირზე განხილულ იქნა ტყავის ქარხნების მუშაობის შემოწმების შედეგები; თათბირმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ხოლო ლონკრეტულ დამნაშავეებს დაედოთ ადმინისტრაციული სასჯელი:

ბათუმის ტყავის ქარხნის ტექკონტროლის უფროსს ვ. ჩაგელიშვილს სუსტი ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადა საყვედური, ხოლო მთავარ ინჟინერს ბ. იმნაძეს, სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის მთავარ ინჟინერს ვ. ნადირაშვილს და ამავე კომბინატის ტყავის ქარხნის უფროსს მ. რაბინოვიჩს მიეცათ გაფრთხილება.

ადმინისტრაციული სასჯელი დაედოთ აგრეთვე ბათუმის ტყავის ქარხნის გამომშვები საამქროს უფროსს მ. ბაბერიშვილს, ამავე საამქროს ოსტატებს ი. რიმარს და დ. ორაბაველიძეს.

ტყავის ქარხნების ტყავნედლეულით მომარაგების გაუმჯობესების საკითხი დასმულია საკავშირო საგეგმო კომიტეტში და „სოიუზგლავლეგპრომსირიოლში“. ამ უკანასკნელმა უკვე შეგვატყობინა, რომ მეხუთე კვარტალისათვის რესპუბლიკას გამოეყო 50 ათასი ცალი ჩინური თხის ტყავი.

ფეხსაცმლის მრეწველობის მუშაობის გასაუმჯობესებლად განვახორციელეთ შემდეგი ღონისძიებანი:

სპეციალურად იქნა შემოწმებული რესპუბლიკის ყველაზე დიდი № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშაობა. სამმართველომ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ხარისხისა და პროდუქციის ასორტიმენტის გაუმჯობესებისათვის.

მოზარდი ბავშვების ფეხსაცმლის გამსუბუქების მიზნით ფაბრიკას წინადადება მიეცა ფეხსაცმლის აღნიშნული სახეობა გამოუშვას მსუბუქი მიკროფორიანი რეზინით, ამავე დროს გაიზრდება ფეხსაცმლის გამოშეკება ტყავის ლანჩით.

ფაბრიკაში ფეხსაცმლის კერვის ყველა ოპერაციას კონტროლს გაუწევენ მუშათა საზოგადოებრივი კონტროლიორები.

სამმართველომ თბილისის ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის მე-3 და მე-4 შემკერი საამქროების უფროსებს ი. მეშურგლიშვილს და რ. ბაღდასკორიას სუსტი მუშაობისათვის გამოეცხადათ საყვედური. ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს რ. ბებერაშვილს კონტროლის შესუსტებისათვის მიეცა მკაცრი გაფრთხილება, დეფექტიანი ფეხსაცმლის გამოშვებისათვის მე-6 ნაკადის ცვლის უფროსები ბ. ბარანი და ბ. იმედაშვილი განთავისუფლებული არიან თანამდებობიდან, მე-8 ნაკადის ცვლის უფროსებს ბ. აბლაძეს და ლ. ბეჟანიშვილ, მე-5 საამქროს ცვლის უფროსებს ზ. ივანოვასა და დ. იბრიევას დაეღოთ ადმინისტრაციული სასჯელი.

სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის ნაკადის ოსტატს ფედორაინკოს სუსტი კონტროლისათვის გამოეცხადა საყვედური.

გაიმართა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს სამხატვრო საბჭოს სხდომა სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით. სადაც განხილულ იქნა ფეხსაცმლის ნიმუშები, რომელთა გამოშვება გათვალისწინებულია 1962 წელს. სამხატვრო საბჭომ რეკომენდაცია მისცა ფეხსაცმლის ფაბრიკებს 1962 წლისათვის გამოუშვან 364 ფეხსაცმლის მოდელი, მათ შორის 242 ახალი მოდელი.

„უმაღლესი სოდნა... ათ წუთში?!“

ამ სათაურით ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც მხილებული იყვნენ ყალბი დოკუმენტების მკეთებლები.

ამას წინათ თაღლითების, ყალბი დოკუმენტების მკეთებლების საქმე გაარჩია თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლომ. ყალბისმქნელ ვ. დ. იშხანოვს სასამართლომ სამი წლის პატიმრობა მიუსაჯა. დიპლომები № № 557261, 795580 და 384561, გაფორმებულ ეთერ ივანეს ასულ არაშიძის, ვახტანგ ალექსანდრეს-ძე ბეჟანიძის და დავით იასონის-ძე გაგოშიძის სახელზე სასამართლომ გაუქმა.

ვაჟა-ფშაველი

სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერია

ოვალს იტაცებს და გრძნობას ატყვევებს საქართველოს აქ კუთხის სილამაზე: მხარიმხარ გადაბმული მთები და ატბილი ჭალები, ვიწროებში გამოჭრილი აცაურა — ქვემო აკეთისა და ჭანჭათის გამყოფი მდინარე...

აქ, ამ მიდამოში, პირველად გაახილა თვალი ნესტორ ღლონტმა, აქ აიდგა ფეხი, აქ აეშალა სიყვარულზე ღინღლი. და არც გასაკვირველია, თუ თავისი ხელის ხუთი თითივით იცნობს აქაურ ადგილებს.

ნესტორის თვალწინ ცოცხალი კალეიდოსკოპივით გაიკროლებს მისი ცხოვრების სურათები: ობლობით გაუხარელი ბავშვობა და პირველი დამოუკიდებელი შრომა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში სწავლა და საბჭოთა არმიაში სამსახური, ოფიცერთა მოსამზადებელ კურსებზე მეცადინეობა და დიდ სამამულო ომში მონაწილეობა.

დიდი სამამულო ომი... აქ მიიღო ქვემოაკეთელმა ახალგაზრდამ მთავრობის რვა ჯილდო, მათ შორის წითელი ვარსკვლავისა და სამამულო ომის ორდენები.

1946 წლის აგვისტოში ნესტორი დემობილიზაციით ბრუნდება მშობლიურ სოფელში. ჯერ კიდევ ჯარისკაცის მაზარაში გადაწყვიტა მან, თუ საით წავიდოდა ომის შემდეგ. მისი არჩევანი ქვემო აკეთის კოლმეურნეობა იყო. 30 წლის ვაჟკაცს ღრმად სწამდა, რომ სწორედ აქ გაშლიდა ფრთებს მისი ფანტაზია, ყველაზე მეტად აქ იყო საჭირო მისი გონება და მარჯვენა.

ამიტომ გაუწია გულმა აქეთ, ამიტომ წაიყვანა აქეთ სინდისმა.

1946 წლიდან იგი ორ წელს ქვემო აკეთის კოლმეურნეობის აგრონომად მუშაობდა, შემდეგ კი, 1961 წლის თებერვლამდე, იმავე სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარედ.

ცამეტი წელი გაატარა ნესტორმა ამ თანამდებობაზე. ბევრჯერ იგემა მიღწევებით გამოწვეული სიხარული და დროებითი წარუმატებლობით მიყენებული გულისტკივილიც.

ამაოდ როდი ჩაიარა თავდადებულმა შრომამ. ქვემო აკეთის კოლმეურნეობა განვითარების ფართო გზაზე გამოვიდა. იგი ერთ-ერთი მოწინავე სასოფლო-სამეურნეო არტელი გახდა ლანჩხუთის რაიონში. მარტო 1960 წელს აქ საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანეს 5.960 კილოგრამი ჩაი და 40 ცენტნერი სიმინდი. საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღეს 1.900 კილოგრამი რძე. შრომადღეზე გაანაწილეს 4 კილოგრამი მარცვალი და 25 მანეთი ფული.

ეს მაჩვენებლები იკ ოთხ-ხუთჯერ მეტი იყო იმაზე, რაც ნესტორ ღლონტს დაჰვდა ქვემო აკეთში მის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ არჩევამდე.

ქვემო აკეთში მუშაობის დროს ბევრჯერ უფიქრია ნესტორ ღლონტს მეზობელი სოფლის—ჭანჭათის კოლმეურნეობის ბედზე. დადგებოდა იგი მდინარე აცაურას ნაპირას და დიდხანს გასცქეროდა ჭანჭათელ კოლმეურნეთა ნათესებს თუ ჩაის პლანტაციებს. ოკეანოდ, რატომ მიდიოდა ჭანჭათში საქმე თვითდინებით, როცა ქვემო აკეთში შრომა დუღდა. ბოლოს თვითონვე გასცა ამ კითხვაზე პასუხი. ამის მიზეზი ხელმძღვანელობის სისუსტე იყო.

მართალია, ჭანჭათის კოლმეურნეობაში ფრაქტიკა იცვლებოდნენ თავმჯდომარეები, მაგრამ საქმე მაინც წინ არ მიდიოდა, იყო თუ არა გამოსავალი? ცხადია, არ ეკარებოდა ნესტორ ერთ ადამიანს, რომელიც ელექტრობის შუქზე საწერ მაგიდას მისჯდომოდა და დაკვირვებით ჩასცქეროდა ქაღალდს. ფიქრობდა და წერდა. წერდა და ფიქრობდა. ზოგჯერ თვალს გაუშტერებდა რომელიმე საგანს და ფიქრთა მორეკვში გადაეშვებოდა. აი წერაც დაამთავრა, წამოდგა და საწოლისაკენ გასწია. დაწვა, მაგრამ დიდხანს არ მოუხუჭავს თვალი.

ნესტორი დილით უკვე პარტიის რაიონის კომიტეტში იმყო. აქ არ გაჰკვირვებიათ ნ. ღლონტის გადაწყვეტილება — წასულიყო ჭანჭათის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, თუ იქნებოდა რაიკომის ბიუროს თანხმობა და კოლმეურნეთა სურვილი. რა დასამალავია, თურმე რაიონის ხელმძღვანელი ამხანაგებიც ასე ფიქრობდნენ და უკეთესი კანდიდატურაც არ ჰყავდათ, მაგრამ ეს კია, რომ ამ შემთხვევაში თვით ნესტორ ღლონტმა გამოიჩინა თაოსნობა.

მალე რაიკომის ბიუროომ რეკომენდაცია მისცა ნ. ღლონტს ჭანჭათის კოლმეურნეობის თავმჯდომარის პოსტზე ასარჩევად.

დიდი სინანულით გაიცილეს ქვემოაკეთელებმა ნ. ღლონტი. სამაგიეროდ ჭანჭათელმა კოლმეურნეებმა უსაზღვრო სიხარულით აიჩჩიეს იგი თავიანთ ახალ ხელმძღვანელად.

ბევრი საქმე და საფიქრალი აქვს ნესტორ ღლონტს. მოდი და ნუ იფიქრებ, როცა მდგომარეობა გიკარნახებს. თქვენ თვითონ განსაჯეთ: შარშან ჭანჭათში ჰექტარზე 12 ცენტნერი მარცვლეული და 2.600 კილოგრამი ჩაი მიიღეს. დაბალი იყო მეცხოველეობის პროდუქტიულობა. მზრუნველი ხელი აკლდა ჩაის პლანტაციებს, სიმინდს.

მაგრამ ნესტორ ღლონტმა ამ მძიმე წუთებშიც შეინარჩუნა ნათელი აზრი და ნებისყოფის სიმტკიცე.

რაც მთავარია, იგი ახალი ძალით, დიდი რწმენით შეუდგა საქმეს. გადალისებულ იქნა კოლმეურნეობის გამგეობა, ხელახლად დაკომპლექტეს ბრიგადები და ფერმები. ხელმძღვანელებად აირჩიეს საქმის მცოდნე, ენერგიული ადამიანები. გაძლიერდა კომუნისტთა ავანგარდული როლი. ამაღლდა შრომის დისციპლინა, გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია, მატერიალური წახალისება.

დაუცხრომელ შრომაში გადის ყოველი დღე. და დილას ყველაფერი ისევ თავიდან იწყება. რას არ ასწრებს ეს 45 წლის მოძრავი, მოუსვენარი კაცი. ხშირად იგი შეგნებულად ამბობს უარს დასვენებაზე, ბევრჯერ ძილსაც იტეხს.

ადრე დილიდან გვიან საღამომდე ნაბიჯ-ნაბიჯ ათვალიერებს ჩაის პლანტაციებსა და სიმინდის ყანებს, ამოწმებს ბაღ-ვენახებსა და მეცხოველეობის ფერმებს, იხედება საკოლმეურნეო ცხოვრების ყოველ კუნჭულში და გონივრულად ანაწილებს ძალებს, იღვწის ყოველივე ახლისა და პროგრესულისათვის.

ჯერ ექვსი თვეც არ გასულა, რაც ჭანჭათში მოვიდა ნესტორ ღლონტი, მაგრამ ცვლილებები ყველგან, ყოველ ნაბიჯზეა შესაჩნევი. სოფელს არ ჰქონდა ელექტრობა, ახლა იგი აქვს. ერთ თვეში ააშენეს პურის საცხობი, გააჩაღეს საგზაო მშენებლობა.

წელს ჭანჭათელებმა 95 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე უნდა მიიღონ 3.760 კილოგრამი ჩაი, რითაც საშობლოს მისცემენ 342 ტონა „მწვანე ოქროს“. მნიშვნელოვნად აამაღლებენ სიმინდის მოსავლიანობას და მეცხოველეობის პროდუქტიულობას. ჭანჭათელები ვარაუდობენ არტელის შემოსავალი 120 ათასი მანეთით გაზარდონ. მნიშვნელოვნად გაადიდონ შრომადღის ხვედრი.

მშრომელებს თითქოს ფრთები შეესხათ. ყოველდღიურად 5,5-6 ტონა ჩაის კრეფენ. მესამეუ გათოხნეს სიმინდი. მნიშვნელოვნად გაზარდეს წველადობა. კოლმეურნეები სულ უფრო აძლიერებენ მუშაობას პარტიის მომავალი — XXII ყრილობის აღსანიშნავად.

— ამ სოფელში მოსავლიანობის ზრდის უშრეტი რეზერვებია, — კმაყოფილებით ამბობს თავმჯდომარე, — ამას ცხადყოფს ნ. ბურკაძის, მ. გოგუაძის, რ. ვადაქკორიას და სხვების მაგალითი, რომლებმაც შარშან სხვებთან თანაბარ პირობებში ჩაისა და სიმინდის სამჯერ მეტი მოსავალი მოიყვანეს.

ბამუშაო მაგიდაზეა რამდენიმე ახალმიღებული წერილი. ნ. ღლონტი სათუთად ინახავს სახლში ადრე მიღებულ მრავალ წერილსაც. იწერებიან მისი სკოლის ამხანაგები, თანამებრძოლები, მეგობრები, ომმორჩენელები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ნ. ღლონტს მარტო წერილობითი კავშირი როდი აქვს თავის ამომრჩევლებთან. მასებთან ახლოს, ცხოვრების შუაგულში ტრიალი საშუალებას აძლევს მას ღრმად ჩასწვდეს ხალხის საჭიროებებს, იზრუნოს საკოლმეურნეო სოფლის აყვავებისათვის.

აი, ჩაის პლანტაციისაკენ მიმავალ ნ. ღლონტს მოხუცი კოლმეურნე აჩერებს.

— ამხანაგო ნესტორ, გთხოვთ დამეხმაროთ ერთ საკითხში.

ნესტორი მოხუცს მკლავში უყრის ხელს. ისინი ტკბილი საუბრით მიჰყვებიან ბილიკს. ცოტა ხნის შემდეგ კოლმეურნე კმაყოფილებით ართმევს ხელს თავმჯდომარეს.

— დიდი მადლობა, შვილო! — ეუბნება მოხუცი ნესტორს. და ეს უბრალო სიტყვები კი არ არის, არამედ ხალხის სიყვარულის ერთი გამოხატულებაა თავისი რჩეულისადმი.

ლამაზი, კარგი სოფელია მთებში ჩაკარგული ჭანჭათი. თითქ

ერთიანობა უძლეველია

ფიდელ კასტროს გამოსვლა

ჰავანა, 28 ივლისი. (საკ-დესი). კუბის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ ჰავანაში მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა. მან განაცხადა:

ყველა ჩვენგანისათვის დიდი პატივია ის, რომ საბჭოთა კავშირმა ჩვენს დღესასწაულზე გამოგზავნა კაცი, რომელიც ეს-ეს არის დაბრუნდა კოსმოსურ სივრცეში პირველი გაფრენიდან. ეს ადასტურებს საბჭოთა ხალხის დიად მეგობრობას ჩვენთან.

კასტრომ გიხსენა, რომ ადამიანის პირველი გაფრენა კოსმოსში და იმპერიალიზმის დაქირავებული ჯარების ინტერვენცია კუბაში, თითქმის დაემთხვა ერთმანეთს. ჩვენ, თქვა კასტრომ, შესაძლებლობა გვქონდა შეგვედარებინა ეს ორი მოვლენა; ერთი მათგანი მოხდა კაცობრიობის პროგრესისა და მშვიდობის საკეთილდღეოდ, მეორე — დაქირავებულთა მხდალი და უსირცხვილო ინტერვენცია — მოაწყეს იმპერიალისტებმა, რომლებმაც მიზნად დაისახეს დაიბრუნონ თავიანთი პრივილეგიები და მონოპოლიები კუბაში.

კუბელმა ხალხმა, აღნიშნა შემდეგ კასტრომ, გაანადგურა დაქირავებული ჯარები პლაია-ხირონზე. ჩვენს ხსოვნაში სამუდამოდ დარჩება ორი მოვლენა, საყოველთაო მშვიდობის საქმის ორი დიდი გამარჯვება — კოსმოსში გაფრენა და დაქირავებულთა განადგურება. არაფერია იმაზე უფრო სამართლიანი, ვიდრე ის, რომ პირველი „პლაია-ხირონის" ორდენით დავჯილდოოთ მსოფლიოს პირველი კოსმონავტი მაიორი იური გაგარინი.

შემდეგ კასტრო შეჩერდა სიცრუისა და ცილისწამების კამპანიაზე კუბის შესახებ, რასაც ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები ავრცელებენ. მან ამხილა ეს სიცრუე და კერძოდ, აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომლებსაც თავი ეგრეთწოდებულ სამყაროს ლიდერად მიიჩნიათ, დაპატიმრებისა და უდიდესი ჯარიმის მუქარით აუკრძალეს თავიანთ მოქალაქეებს კუბაში წამოსვლა. ამავე დროს კუბის რევოლუციური მთავრობა სრულ შესაძლებლობას აძლევს ყველას, ვინც კი მოისურვებს, წავიდეს კუბიდან.

ფიდელ კასტრომ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ რევოლუციის მთავარი ფუძემდებელი კანონები, რომლებმაც რადიკალურად შეცვალეს კუბის სოციალურ-ეკონომიური წყობილება, უკვე მიღებულია და ხორციელდება. ამ კანონებს შორის კასტრომ დაასახელა უწინარეს ყოვლისა აგრარული რეფორმის, საქალაქო რეფორმის, უცხოელთა მონოპოლიების, მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაციის კანონი და სხვა.

კასტრომ თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა კუბის მთელი რევოლუციური ძალების გაერთიანების საკითხს, აღნიშნა რა, რომ ამ პროცესს გარკვეული დრო სჭირდება. რევოლუციის ძალების ორგანიზაციული გაერთიანება, აღნიშნა კასტრომ, რაც უკვე დაიწყო, რამდენიმე ხნის შემდეგ დამთავრდება.

რევოლუციის ყველაზე უარესი მტერი, თქვა კასტრომ, გათიშვაა. ხალხი ერთიანი უნდა მიდიოდეს წინ. ხალხის ერთიანობა მისი უძლეველობაა, ჩვენი რევოლუციის ისტორია იმას ამტკიცებს, რომ ერთიანობა უძლეველია, რომ ერთიანობა ძალაა.

იმპერიალიზმს სწორედ ამიტომ აწუხებს ხალხის გაერთიანება. მას ის ფაქტი აწუხებს, რომ სხვადასხვა რევოლუციური ორგანიზაცია ერთიან რევოლუციურ ორგანიზაციად გაერთიანდება. ფიდელ კასტრომ გამოაცხადა, რომ შეიქმნება „კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტია".

კუბის პრემიერ-მინისტრი შეჩერდა აგრეთვე კუბის რევოლუციის სოციალისტურ ხასიათზე, ამასთან ხაზი გაუსვა, რომ სოციალიზმი დეკრეტებით ვერ დამყარდება, რომ სოციალიზმი ხანგრძლივი პროცესის შედეგია. ის, რომ ჩვენ კუბის რევოლუციას სოციალისტური ვუწოდეთ, თქვა მან, იმას ნიშნავს, რომ რევოლუცია სოციალისტური საზოგადოებრივი და ეკონომიური წყობილებისაკენ მიდის. კასტრომ აგრეთვე აღნიშნა, რომ ჰავანის დეკლარაციის (რომელიც ხალხმა ერთსულოვნად მოიწონა) ძირითად პრინციპებს სოციალისტური ხასიათი აქვს.

რევოლუცია, რომელიც მუშათა და გლეხთა ინტერესებს გამოხატავს, აღნიშნა კასტრომ, უნდა ეცადოს მიიმხროს მოსახლეობის საშუალო ფენების რაც შეიძლება მეტი ნაწილი, და არ ჩაუგდოს ისინი ხელში კონტრრევოლუციასა და რეაქციას. ეს მუშათა კლასისა და გლეხობის ერთადერთი სწორი და გონივრული სტრატეგიაა. ეს რევოლუციის სტრატეგიაა.

ფიდელ კასტრომ შემდეგ მოკლედ დაახასიათა 2 წლისა და შვიდი თვის მანძილზე რევოლუციის განვითარების შედეგები, აღნიშნა, რომ რევოლუციამ ამ ხანში განსაკუთრებული წარმატებანი მოიპოვა თითქმის ყველა დარგში. ფიდელ კასტრომ ილაპარაკა იმპერიალიზმის იმედზე, რომ რევოლუცია დამარცხდება შიმშილის შედეგად და ხაზი გაუსვა, რომ ეს იმედი ამაოა, რომ რამდენიმე თვის შემდეგ კუბაში არ იქნება აბსოლუტურად არავითარი ნაკლებობა. კვების ზოგიერთი პროდუქტის ახლანდელი ნაკლებობა, აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა, იიხსნება არა მარტო ეკონომიური ბოიკოტით იმპერიალიზმის მხრივ, არამედ იმითაც, რომ გაიზარდა მოსახლეობის მყიდველობითი უნარი, მკვეთრად შემცირდა უმუშევართა რიცხვი, გაიზარდა მშრომელთა რეალური ხელფასი, ამჟამად, თქვა კასტრომ, ხალხს ყოველწლიურად აქვს თავისი ხარჯებისათვის 500 მილიონი პესოთი მეტი, ვიდრე რევოლუციის გამარჯვებამდე ჰქონდა. ფიდელ კასტრო შეჩერდა აგრეთვე ამერიკის სატრანსპორტო თვითმფრინავის ინციდენტზე, როცა ერთ-ერთმა მგზავრმა იარაღით აიძულა ამერიკელი მფრინავი შეეცვალა გეზი და ჰავანაში დაეშვა თვითმფრინავი.

კასტრომ განაცხადა, რომ ამერიკის ხელისუფლები მოითხოვენ ამ თვითმფრინავის დაბრუნებას და ხაზი გაუსვა, რომ კუბის ათი თვითმფრინავი დღემდე ხელთ იგდეს და მიიყვანეს ამერიკის შეერთებულ შტატებში და რომ ამერიკის მთავრობა არ უბრუნებს მათ კუბას. მიუხედავად ამისა, აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა, კუბის მთავრობა მზად არის დაუბრუნოს შეერთებულ შტატებს თვითმფრინავი, თუ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იკისრებს ვალდებულებას დაუბრუნოს კუბას კუბის ყოველი თვითმფრინავი, რომელიც შეიძლება მიიტაცონ და ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაიყვანონ. კასტრომ აგრეთვე განაცხადა, რომ კუბა მზად არის ეს საკითხი განსახილველად გადასცეს რომელიმე საერთაშორისო ორგანოს.

თავისი სიტყვის დასასრულს კუბის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ იმპერიალისტების ყოველი გეგმა — მოსპონ რევოლუცია შიმშილით ან შეიარაღებული აგრესიის საშუალებით ჩაიფუშება.



რანჩო ბოიეროსის გზატკეცილს, რომელიც კუბის რესპუბლიკის დედაქალაქ ჰავანას საერთაშორისო აეროპორტთან აკავშირებს, მსოფლიოში პირველი კოსმონავტის საბჭოთა მაიორ იური გაგარინის სახელი დაერქვა.

ფოტო პრენსა ლატინას სააგენტოსი.

ი. ა. გაგარინი კუბაში

ჰავანა, 28 ივლისი. საკ-დესის კორესპონდენტი ა. ივანოვი იუწყება: კუბის მშრომელთა კონფედერაციამ დიდი დარბაზობა გამართა პირველი კოსმონავტის იური გაგარინის პატივსაცემად. დარბაზობაზე იყვნენ პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო, რევოლუციური მთავრობის მინისტრები, დიპლომატიური კორპუსის წევრები, კუბის პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, უცხოეთის დელეგაციათა წარმომადგენლები, რომლებიც ჩამოვიდნენ 26 ივლისის დღესასწაულზე.

კუბის მუშათა კლასის სახელით იური გაგარინს მიესალმა კუბის მშრომელთა კონფედერაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ოდონ ალვარეს დე ლა კამპა. „ჩენი სახით, ამხანაგო გაგარინ, თქვა ლა კამპამ, მივესალმებით საბჭოთა მეცნიერების შესანიშნავ წარმატებებს, მეცნიერებისა, რომლის ისტორიული მიღწევანი აყენებენ მას ყველა დროის ყველაზე მოწინავე მეცნიერების სათავეში.

„ჩენი სახით, ამხანაგო გაგარინ, ჩვენ მივესალმებით დიდ საბჭოთა ხალხს, რომლის უდიდესი წარმატებების შედეგად სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში აღიზარდა ახალი საბჭოთა ადამიანი. ამ ადამიანის მამაცობამ, უშიშროებამ და გამბედაობამ სოციალისტური მეცნიერების სწრაფ განვითარებასთან შეხამებით შესაძლებელი გახადა ვარსკვლავთ შორის აფრიალებულიყო პროლეტარიატის წითელი დროშა.

ი. ა. გაგარინს გადაეცა სამახსოვრო საჩუქრები.

სამადლობელ სიტყვაში ი. ა. გაგარინმა მადლობა გადაუხადა ფიდელ კასტროს, კუბის მშრომელთა კონფედერაციასა და კუბის მუშათა კლასს გულთბილი მისალმებისათვის საბჭოთა ხალხისა და პირადად მის მიმართ, ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო კუბის მუშებთან შეხვედრა, თქვა ი. ა. გაგარინმა, რადგან მეც მუშა ვარ და, თუმცა ახლა მფრინავი ვარ, ჩემი სული და გული მუშათა კლასთან არის ყოველთვის.

ი. ა. გაგარინმა კუბის მშრომელებს უსურვა დიდი წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობაში.

კუბა ძლიერდება, კუბა იმარჯვებს!

საერთაშორისო დეკალუები, ცნობები, მიმოხილვა

ცხოვრება

რასკის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი 28 ივლისი, (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა რასკმა გუშინ მორიგ პრეს-კონფერენციაზე კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, თუ როგორ გამოეხმაურნენ ამერიკის მოკავშირეები ნატოში პრეზიდენტ კენედის მოწოდებას ეგრეთწოდებულ „ბერლინის კრიზისთან" დაკავშირებით დასავლეთის ქვეყნების სამხედრო ძალის გადიდების შესახებ. მან მოუწოდა ყველა მოკავშირე ქვეყანას ერთად იმოქმედონ და იკისრონ ამასთან დაკავშირებით საჭირო ფინანსური ტვირთი.

რასკი აშკარად იცავდა დასავლეთ გერმანიის შეიარაღებას, რასაც დასავლეთის სახელმწიფოები ახორციელებენ, და „არარეალური" უწოდა საბჭოთა კავშირის საფუძვლიან შეშფოთებას ამ საშიშ კურსთან დაკავშირებით.

სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრები მომავალ თათბირზე პარიზში განიხილავენ დასავლეთ ბერლინის შესახებ საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების საკითხს. მაგრამ მან უარი თქვა ეცნობებინა, რა საფუძველზე აპირებენ დასავლეთის ქვეყნები ამ მოლაპარაკების წარმოებას და მზად არიან თუ არა ისინი რაიმე დათმონ. უპასუხო რა კითხვაზე ამჟამად მოსკოვში წარმოებული საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების შესახებ განიარაღების საკითხებზე, რასკმა განაცხადა: შეერთებულ შტატებს წინანდებურად იმედი აქვთ, რომ შესაძლო იქნება საბჭოთა კავშირთან შეთანხმების მიღწევა იმის შესახებ, რომ წელს ზაფხულში მოეწყოს კონფერენცია განიარაღების საკითხზე მრავალი ქვეყნის მონაწილეობით.

ერთ-ერთი კორესპონდენტი შეეკითხა რასკს პრესაში გამოქვეყნებული ცნობების შესახებ, რომ პრეზიდენტმა დე გოლმა შეიტანა წინადადება მოეწყოს მიმდინარე წლის სექტემბერში დასავლეთის სამი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირი. რასკმა თქვა, რომ ამჟამად არ არის ასეთი შეხვედრის გარკვეული გეგმები. იგი შესაძლებელია, მაგრამ ეს მომავლის საქმეა.

რასკმა პრეს-კონფერენციაზე წაიკითხა განცხადება, რომელშიც ფაქტიურად გამოთქვა შეერთებული შტატების კმაყოფილება სამხრეთ კორეის ახალი სამხედრო-ფაშისტური რეჟიმის პოლიტიკურ, ეკონომიურ და სამხედრო ღონისძიებათა გამო.

საფრანგეთის საბოტაჟი

პარიზი, 27 ივნისი. (საკდესი). „საფრანგეთის მთავრობა იმ საბაბით ამბობს უარს გაიყვანოს ბიზერტიდან თავისი ჯარები, რომ ეს ჯარები საჭიროა იქ სამხედრო ბაზის ნორმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად. პარიზი საბოტაჟს უწევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების შესრულებას და ამით ამწვავებს ვითარებას ბიზერტაში", — წერს დღეს გაზეთი „ლუმანიტე".

იქ ყურადღებას აქცევენ საფრანგეთის მთავრობის უკანასკნელი სხდომის გადაწყვეტილებას. კომუნიკეში, რომელიც ამ სხდომის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნდა, ფაქტიურად დადასტურებულია სურვილი — დატოვონ საფრანგეთის ჯარები იმ მთავარ პოზიციებზე ქალაქ ბიზერტაში, რომლებიც. მათ ხელში ჩაიგდეს, გამოიყენეს რა თავიანთი ძალების სიჭარბე.

რაც შეეხება მილოცვას, რომელიც პრეზიდენტმა დე გოლმა გაუგზავნა ჯარების სარდალს ბიზერტაში სიდინჯის, სიმტკიცისა და უნარის გამოჩენასთან დაკავშირებით, მთელ რიგ გაზეთებს „უადგილოდ" მიაჩნიათ.

ტელეგრაფი გვატყობინებს

გაიხსნა კონგოს პარლამენტის სესია

ლონდონი, 27 ივლისი, (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, დღეს ლეოპოლდვილში ოფიციალურად გაიხსნა კონგოს პარლამენტის სესია.

ადენაუერი „მადლობას უხდის" კენედის

ბონი, 27 ივლისი. (საკდესი). დპას სააგენტოს ცნობით, ადენაუერმა დღეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯ. კენედის გაუგზავნა წერილი, რომელშიც „მადლობას უხდის" კენედის მისი „განცხადებისათვის ბერლინის კრიზისთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ და სამხედრო ღონისძიებათა შესახებ".

მემამბოხეები ნეგდებიან

ჯაკარტა, 27 ივლისი. (საკდესი). როგორც დღეს ჯაკარტის რადიო იუწყება, მეამბოხეთა კიდევ ერთი მეთაური ჩრდილოეთ სუმატრაში ყოფილი პოლკოვნიკი სიმბოლონი დანებდა ტუვედ მთავრობის ჯარებს თავის შტაბიანად.

რადიომ აგრეთვე გამოაქვეყნა ცნობა, რომ უკანასკნელ დღეებში ჩრდილოეთ სუმატრაში ტუვედ დანებდა ორი ათასამდე მეამბოხე.

პონგოს მთავრობის მტკიცე პროტესტი

ლონდონი, 27 ივლისი. (საკდესი). კონგოს რესპუბლიკის პოლიტიკურ წრეებში შეშფოთებასა და აღშფოთებას გამოთქვამენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელისუფლების (ლეოპოლდვილში) პოზიციასთან დაკავშირებით, რომლებიც განზრახან არ ხედავენ პარლამენტის მუშაობის წესრიგის შესახებ შეთანხმებათა უხეშ დარღვევას, რაც საფრთხეს უქმნის იმის შესაძლებლობას, რომ კონგოს კრიზისი მშვიდობიანი საპარლამენტო გზით გადაიჭრას.

კონგოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის მეთაურმა ანტუან გიზენგამ გუშინ ჰამარშელდს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ხაზგასმულია, რომ აღნიშნული შეთანხმებანი ითვალისწინებდნენ ლოვანიუმის (უნივერსიტეტის ქალაქი ლეოპოლდვილის ახლოს, სადაც შეიკრიბნენ კონგოს პარლამენტის წევრები რედ. შენიშვნა) სრულ იზოლაციას, აგრეთვე ყველა კონგოელი სამხედრო პირის გაიარაღებას ლეოპოლდვილში.

ამ შეთანხმებათა წინააღმდეგ, ხაზგასმულია დეპეშაში, კასავუბუ აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოხელეები თავისუფლად შედიან ლოვანიუმში. გარდა ამისა, კონგოელი ჯარისკაცები იარაღით ხელში დადიან ლეოპოლდვილის ქუჩებში, მაშინ როცა ისინი უნდა განიარაღებინათ სამი დღით ადრე, სანამ პარლამენტარები ლოვანიუმში მივიდოდნენ.

„მე მიმაჩნია, — წერს გიზენგა, — რომ ჩვენი შეთანხმებების ყველა აღნიშნული დარღვევა ერთსა და იმავე დროს სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოსახლეობისა და პარლამენტის წევრების უშიშროებას, რომლებიც ლოვანიუმში შეიკრიბნენ, აგრეთვე არაჯანსაღ ატმოსფეროს ქმნის საპარლამენტო კამათისათვის. მოსახლეობის სახელით, პარლამენტის წევრთა დედებისა და შვილების სახელით, ჩემი საკუთარი სახელით მტკიცე პროტესტს ვაცხადებ და ვთხოულობ — დაუყოვნებლივ განხორციელდეს ყველა საჭირო ღონისძიება".

თავის დეპეშაში გიზენგამ სთხოვა საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრს ხელი შეუწყოს იმის, რომ აფრიკის სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან შეიქმნას კომისია, რომელსაც დაუშვებენ ლოვანიუმში და რომელსაც შეეძლება თვალყური ადევნოს კამათს პარლამენტში. „მოვუწოდებ ყველა კეთილი ნების ადამიანს — არ დაუშვან, რომ კონგოში კვლავ შებილწონ დემოკრატია, — ნათქვამია დეპეშის დასასრულს. — მიგმართავ მსოფლიოს ყველა ქვეყნის ადამიანთა ჰუმანურ გრძნობებს და ვთხოვ ყოველი ღონე იხმარონ, რათა კონგოში ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვოს თავისუფლებამ და სამართლიანობამ".

მოსალოდნელია ახალი ფაშისტური პუტჩი

პარიზი, 28 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ი. ლოპატინი იუწყება: დანგრეული კედლები და ჩამტვრეული, მოგლეჯილი კარები, მოღრეცილი კოჭები და აყრილი იატაკი, დამსხვრეული ავეჯი — ასეთი ფოტოსურათები ხშირია ფრანგული პრესის ფურცლებზე. ეს ერთგვარი სავიზიტო ბარათია ტერორისტებისა — არალეგალური ფაშისტური ორგანიზაციის წევრებისა.

ალჟირში ყოველ დღე აფეთქებენ „ულტრების" მიერ ჩადებულ ათობით ბომბს. პარიზის სულ სხვადასხვა რაიონში ღამით მცხოვრებლებს აღვიძებს აფეთქების გრიალი. ღამის სიმშვიდეს არღვევს სანიტარული მანქანების სირენების ხმა. მარტო გასულ ღამეს პარიზში აფეთქეს შვიდი ბომბი. არიან დაჭრილნი, დიდია მატერიალური ზარალი...

ტერორისტული აქტები განსაკუთრებით გახშირდა ამ ბოლო დროს.

საფრანგეთის პრესა იუწყება, რომ საჩგებლობენ რა ხელისუფალთა წყარუებით, აპრილის პუტჩის მთელი რიგი თვალსაჩინო მონაწილენი, რომლებსაც მსჯავრი დასდო სამხედრო ტრიბუნალმა, თითქმის აშკარად განაგრძობენ ძირგამოთხრილ საქმიანობას. პოლკოვნიკი გოდარი, წერს ყოველკვირეული „ფრანს ობსერვატერი", რომელსაც დაუსწრებლად მიუსაჯეს სიკვდილი, თავისუფლად ჩამოდის ალჟირიდან საფრანგეთში და უკან ბრუნდება, გადადის შვეიცარიაში, ხელმძღვანელობს „ულტრათა" შეკრებებს ლოზანასა და ჟენევაში, ხოლო შემდეგ კვლავ აწყობს საინსპექციო მოგზაურობას საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში.

თუ რამდენად ნაკლებად არიან საფრანგეთის ხელისუფალნი დაინტერესებულნი პუტჩისტების დაჭერით, ამას მოწმობს შემდეგი მკვირმეტყველური ფაქტი. როცა მწერალმა სერე გრუსარმა განაცხადა, რომ ნახა როგორ არხეინად სადილობდა დღისით პარიზის ცენტრში, ელისეს მინდვრებში კაფე „მულენ დ ალზასში" დაუსწრებლად სიკვდილმისჯილი პოლკოვნიკი ლაშრუა, გრუსარი პოლიციაში გამოიძახეს. მაგრამ არა იმისათვის, რომ მოეთხოვათ დაზუსტება, რომელიც დაეხმარებოდა მას დაეპატიმრებინა პუტჩისტი. არა, „13 საათის განმავლობაში, — აღნიშნავს გრუსარი, — პოლიციამ ყოველნაირად მაშინებდა, რათა გამოეძალა ჩვენგან, რომ არ მინახავს პოლკოვნიკი ლაშრუა"...

ბიზერტის ამბების გამო

სურათზე: დაჭრილი ტუნისელები.

(სურათი გაზეთ „ლუმანიტედან").

„უდიდესი უსამართლობის აქტი"

ლონდონი, 27 ივლისი. (საკდესი). ინგლისის მეტი წილი გაზეთები მკვეთრად უარყოფითად შეხვდნენ იმას, რომ ფინანსთა მინისტრმა ლოიდმა პარლამენტში გამოაქვეყნა ღონისძიებანი, რომელთა საშუალებითაც ინგლისის მთავრობას იმედი აქვს თავი დააღწიოს ეკონომიურ კრიზისს, რასაც ინგლისი ამჟამად განიცდის.

„ფინანსთა მინისტრის მიერ გათვალისწინებული წამლები, — ხაზს უსვამს გაზეთი „დეილი მირორი", — ფაქტიურად თითქმის იგივე ძველი მიქსტურაა, რომელიც განუთვნილია პერიოდულად განმეორებული ტკივილების სამკურნალოდ და არა იმისათვის, რომ აღმოიფხვრას ავადმყოფობის წყარო. კვლავ მთელი სიმძიმე უბრალო ადამიანებმა უნდა ზიდონ".

ნამონის მოლაპარაკება

ჰანოი, 27 ივლისი. (საკდესი). კანონიერი მთავრობისა და ნეო ლაო ხაკ სატის დელეგაციათა ღონისძიებების მეობრივი სავანაკეტის დაჯგუფების დელეგაციი ნამონის მოლაპარაკებაზე იძულებული გახდა დათანხმებულიყო, რომ განიხილონ ლაოსის კოალიციური მთავრობის შემადგენლობის საკითხი.

მაგრამ, როგორც იუწყებიან, მან უარი თქვა განიხილონ საკითხი, თუ ვის დანიშნავენ მომავალი მთავრობის პრემიერ-მინისტრად.

გაზეთი „ისტერნ დეილი პრესი" ხაზს უსვამს, რომ ამ ღონისძიებათა შედეგად საზოგადოების უფრო მდიდარი ნაწილი განზე დარჩა, კეტი მუშას დაატყდა თავს".

ფინანსთა მინისტრის ღონისძიებანი, — აღნიშნავს გაზეთი „სკოტსმენი", — ვერ უშველიან იმას, რომ მივაღწიოთ ეკონომიურ სტაბილურობასა და აყვავებას. პროვინციული გაზეთი „ბერდინ პრეს ენდ ჯორნელი" აკრიტიკებს მთავრობის გადაწყვეტილებას გაიყოს მუშა-მოსამსახურეთა, და, კერძოდ, ინგლისელ მასწავლებელთა ხელფასი, რომელნიც უკვე დიდი ხანია ჯამაგირის გადიდებას მოითხოვენ.

გაზეთი „დეილი მირორი" მთავრობის ამ გადაწყვეტილებას „უდიდესი უსამართლობისა და უგუნურების აქტს" უწოდებს. ს. ლოიდის ბიუჯეტს, ხაზს უსვამს „დეილი ჰერალდი", არც აქვს მიუკერძოებლობის პრეტენზია. იგი ისახავს მხოლოდ ერთ მიზანს — გამოსწოროს ხალხს ყველაფერი, რის გამოწოვაც შეიძლება". „სრული მარცხი" ასე ახასიათებს ლოიდის ეკონომიურ პროგრამას გაზეთი შეფიღდ ტელეგრაფი".

გაზეთ „გარდიანს" მიაჩნია, რომ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის გაყინვის პოლიტიკამ შეიძლება სერიოზული კლასობრივი შეტაკებანი გამოიწვიოს ინგლისში.

„დეილი უორკერი" ლოიდის ეკონომიურ პროგრამას უწოდებს ყველაზე საზიზღარ შეტევას მშრომელი მასების წინააღმდეგ მას შემდეგ, რაც კონსერვატორები ჩაუდგნენ სათავეში ხელისუფლებას.

საუცხოო, ჩინეგ ულია...

— ამგოგენ ინგლისელეგი

ლონდონი, (საკდესი). ორ კვირაზე მეტია ლონდონში მუშაობს საბჭოთა სამრეწველო გამოფენა. მაგრამ დამთვალიერებელთა ნაკადი არ კლებულობს. ყოველ დღე აქ მოდის ათასობით ადამიანი, დამთვალიერებელთა საერთო რიცხვმა 400 ათასს მიაღწია. მათ შორის არიან ლონდონის მცხოვრებლებიც, ინგლისის სხვა მხარეებიდან ჩამოსულებიც, ბევრია უცხოელი სტუმარიც — ამერიკიდან, კანადიდან, ევროპის, აფრიკის, აზიის ქვეყნებიდან. ყოველ მათგანს თავის მოვალეობად მიაჩნია პირადად „იმოგზაუროს" საბჭოთა კავშირში.

თავიანთ აღტაცებას დამთვალიერებლები გამოხატავდნენ გულწრფელი სიტყვებით შთაბეჭდილებათა წიგნში „ეს შესანიშნავი მიღწევაა, რომელიც ცხადყოფს, რა შეიძლება გაკეთდეს სოციალიზმის დროს", — წერს ერთ-ერთი მათგანი — ა. ელისი. „საბჭოთა ხალხის მიღწევანი კოსმოსური კვლევის დარგში კოლოსალურია და შორს იტოვებს უკან ყველაფერს, რაც სხვა ქვეყნებში გაუკეთებიათ", — აცხადებს მეორე, უილიამ მოულინი. „საუცხოო, ჩინებულია, მეცნიერებისა და ტექნიკის შესანიშნავი მიღწევების დიდებული ჩვენებაა", „კოსმოსის დარბაზი ჭეშმარიტი მოწოდებაა ვარსკვლავებისაკენ", „ძალიან კარგია" — რუსული ასოებით დაწერილია ეს სიტყვები. ასეთ ბევრ სიტყვასა და გამოთქმას ნახავთ ყოველ გვერდზე.

ნოტინჰემის უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა ადამიანების ღონისძიებათა საერთაშორისო მნიშვნელობას ამ დარგში, წერს: „ეს შესანიშნავია და გვიჩვენებს არა მარტო საბჭოთა ხალხის არამედ მთელი კაცობრიობის ბრძოლას დროისა და სივრცის ბარიერის გადალახვისათვის". აი ჩანაწერები არაბულ, გერმანულ, ფრანგულ ენებზე, აი ცეილონელების, ინდოელების, ამერიკელების, შვეიცარიელების, სუდანელების შთაბეჭდილებანი. ყველა ამ ჩანაწერში გამოსჭვივის გულწრფელი აღტაცება საბჭოთა ხალხის შესანიშნავი წარმატებების გამო. „სიტყვები არ მყოფნის,—წერს განელი ხ. პატი, — რომ გამოვთქვა აღტაცება სსრ კავშირის ხალხთა დიდი წარმატებების გამო, რომელსაც მე გულითადად ვუღლაცავ".

მაგრამ ყველას როდი მოსწონს საბჭოთა ხალხის წარმატებანი. საზიზღარი დავარძლი გამოსჭვივის ცალკეული ჩანაწერებიდან, რომელთა ავტორებს მეტ წილად ხელი არ მოუწერიათ ანდა ამოფარებიან ისეთ სახელებს, როგორიცაა: „ამერიკელი", „მოსლის მომხრე" (ინგლისელ ფაშისტთა მეთაური); მაგრამ იქვე მათ საკადრის პასუხს აძლევს ავტორი, რომელიც თავის ვინაობას არ ამჟღავნებს. „ნუ მიაქცევთ ყურადღებას, — წერს იგი, — უმეცარ, შურიან კომენტარებს. დიდებული გამოფენა დიდებული ხალხის ღირსია".

საბჭოთა მეცნიერული და ტექნიკური მიღწევების მაღალი ჰუმანიზმისადმი დიდი რწმენით გამსჭვალული ჩანაწერი, რომელიც გაკეთა ინგლისელმა ქალმა (ქალაქი რიდინი): „მადლობას ვუხდი ღმერთს რუსი ხალხისათვის. იგი გადაარჩენს მთელ მსოფლიოს განადგურებისაგან". „საუკეთესო სურვილები საბჭოთა კავშირს ასეთი მიღწევებისათვის. განაგრძეთ ეს კეთილი საქმეები მთელი მსოფლიოს საკეთილდღეოდ", — წერს ა. ბრაუნი (იმაიკა).

ქომუნისტი

№-ს გვერდი, შაბათი,

29 ივლისი, 1961 წ.



უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი ზ. დეხტიარევა — ნილა სნიეკო („მედოლე ქალი").

ეკუთვნის გვერდი — კომუნისტი

გელით სპექტაკლებზე

ცნობას თბილისში გამომგზავრების შესახებ მთელი ჩვენი კოლექტივი დიდი სიხარულით შეხვდა. ეს ბუნებრივიც არის. საქმე ეხებოდა არა უბრალოდ იმას, რომ კოლექტივი ნახავდა კიდევ ერთ საუცხოო ქალაქს, მოიმე რესპუბლიკის დედაქალაქს, ჩვენი სიხარულის ყველაზე მთავარი წყარო იყო მომავალი შემოქმედებითი შეხვედრა. ჩვენი თავისებური ანგარიში საქართველოს შრომისმოყვარე, ნიჭიერი ხალხის წინაშე. ეს საქართველოსა და უკრაინის ხალხებს შორის ღრმა მეგობრობის კიდევ ერთი გამოვლინებაა.

თბილისის მშრომელები უკვე იცნობენ ლვოველთა ხელოვნებას. აქ გასტროლებზე იყო მ. ზანკოვეცკაის სახელობის დრამატული თეატრის კოლექტივი, ლვოვის მუსიკალური კომედიის თეატრი. ახლა დადგა ჩვენი რიგი — წარვუდგინოთ თბილისელებს უკრაინის ძველი ქალაქის ლვოვის ხელოვნების მუშაკთა რაზმი.

თქმა არ უნდა, რომ ჩვენს სიხარულს ერთვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა. განსაკუთრებული გულმოდგინებით ვემზადებოდით ჩვენი გამომგზავრებისათვის და გვინდა საქართველოს დედაქალაქის მშრომელებს ვუჩვენოთ ყოველივე საუკეთესო, რაც კი გვაქვს.

გასტროლებს ვიწყებთ სპექტაკლ **„ოკეანეთი"** ა. შტეინის პიესის მიხედვით. ეს არის პიესა საბჭოთა ინტელიგენციაზე, მისი მოქმედება სამხედრო მეზღვაურთა წრეში იშლება. უნდა ითქვას, რომ პიესამ თავისი მოკლე სცენური ისტორიის მანძილზე მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა. მის მიმართ გამოთქმა ბევრი კრიტიკული შენიშვნა, რომლებიც ავტორმა შემოქმედებითად გაითვალისწინა, რამაც გამოხატულება ჰპოვა პიესის ტექსტის ახალი რედაქციით.

მეორე მხრივ თეატრმა თავისი წვლილი შეიტანა ამ მუშაობაში, შექმნა თავისი სცენური ვარიანტი. ამ სტრიქონების ავტორი, როგორც სპექტაკლის რეჟისორი, ბალტიის ფლოტის ხომალდებზე წავიდა, მონაწილეობა მიიღო

დღეს თბილისში დაიწყება საბჭოთა არმიის ლვოვის დრამატული თეატრის გასტროლები

ნოსნობაში და ამ ხნის მანძილზე ოფიცრებს დახმარებით პიესაში და შემდეგ სპექტაკლშიც შეიტანა თვით ცხოვრებით ნაკარნახევი კოლექტიები.

ამ სპექტაკლში ჩვენი თეატრის თითქმის მთელი დასი მონაწილეობს.

მიუხედავად იმისა, რომ **„ირკუტსკის ისტორიაც"** და **„მედოლე ქალიც"** თბილისის თეატრების სცენაზე იდგმება, ჩვენ არ შეგვიძლია არ ვაჩვენოთ ისინი — ეს ჩვენი რეპერტუარის ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლებია.

რუსული კლასიკა წარმოდგენილი იქნება ა. ტოლსტოის პიესით **„მეფე თეოდორე იოანეს-ძე"**.

ჩვენ დავდგამთ კიდევ ა. არბუზოვის პიესა **„დაკარგულ შვილს"** და ბერძენი დრამატურგის ა. პარნისის თანამედროვე პიესას **„აფროდიტეს კუნძულს"**.

ჩამოვიტანეთ აგრეთვე თბილისელებისთვის ახალი მხიარული მუსიკალური პიესა. ლაპარაკია გ. უგრიუმოვის კომედია-ვოდევილზე **„სავარძელი № 16"**.

სპეციალურად ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეომრებისათვის ვაჩვენებთ დრამატურგ კ. რაპოპორტთან ერთად შექმნილ სპექტაკლს **„გავიდა 15 წელი"**, სოფლის მეურნეობის მშრომელებისათვის — ბ ელ ო რ უ ს ი დრამატურგის ა. მაკაიონოკის კომედიას — **„ლევონიხა ორბიტაზე"**.

წელს ჩვენი კოლექტივი თავის ოცდამეათე წლისთავს აღნიშნავს. იგი კიევში დაარსდა. თავიანი დაბადებიდან ერთი წლის შემდეგ იგი არმიული თეატრი, კიევის სამხედრო ოლქის თეატრი გახდა. ომმა თეატრს ჩვენი სამშობლოს დასავლეთ საზღვრებზე მოუსწრო. ომის პირველ დღიდანვე

იგი ფრონტული თეატრი ხდება. ომის ბევრი გზა განვლო ჩვენმა თეატრმა. მისი მაყურებლები ხშირად სპექტაკლზე პირდაპირ ბრძოლიდან მოდიოდნენ, სპექტაკლიდან კი ბრძოლაში მიდიოდნენ. ომის შემდეგ თეატრი მუშაობდა გმირ ქალაქ ოდესაში, ხოლო 1953 წელს, რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის წინ, მთავრობის გადაწყვეტილებით გადაყვანილ იქნა ქალაქ ლვოვში, სადაც ამჟამადაც მუშაობს.

ჩვენს ერთ-ერთ სპექტაკლს და მის მონაწილეებს სტალინური პრემიები მიენიჭათ.

მაგრამ ყველა ჩვენს მსახიობს თბილისელები უკეთ გაეცნობიან, სცენაზე რომ ნახავენ.

გელით ჩვენს სპექტაკლებზე, თბილისელო მეგობრებო!

ვ. ლიზოგუბი.

საბჭოთა არმიის ლვოვის დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი.

• • •

სურათზე: ვ. ლიზოგუბი, თბილისის ვაგზალზე შეხვედრის დროს.

„დაისი" კაზეთის ციხეში

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი გარდა იმისა, რომ გასვლითს სპექტაკლებს მართავს ქალაქსა და მცხეთაში და კონცერტებს თეთრ წყაროსა და მარნეულში, ამ დღეებში გაემგზავრა კახეთში, სადაც სპექტაკლებს გამართავს პაერზე. სპექტაკლები გაიმართება სიღნაღის, გურჯაანის, ყვარლისა და თელავის რაიონებში. დაიდგმება ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი". სპექტაკლებში მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი პეტრე ამირანაშვილი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ბათუ კრავეიშვილი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტი ზურაბ ანჯაფარიძე, დამსახურებული არტისტები შოთა კიკნაძე, შოთა თაბუკაშვილი, თამარ თაქთაქიშვილი, ოლღა კუზნეცოვა, იულია ფალიაშვილი, ე. ხიჯაკაძე, ტატიანა მალიშევა, მსახიობები ნინო ქაჯაია, ა. მურადოვა, დამსახურებული არტისტები ს. თორელი, ი. შუშანია, ვ. ხამაშურიძე, პეტრე თომაძე, შოთა ვაშალომიძე, გივი ტორონჯაძე, მსახიობები ვ. ელუნჩაძე და სხვები.

სპექტაკლებზე მიდის მთელი ორკესტრი, გუნდი და ბალეტი. დირიჟორები იქნებიან საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დიდიმ მირცხულავა და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვახტანგ ფალიაშვილი.

საოპერო სპექტაკლები პაერზე პირველად ეწყობა. თეატრის დირექცია ყველა ღონისძიებას იღებს, რომ მსმენელებს ჰოხერხებული პირობები შეუქმნას. მსახიობები, რომ სპექტაკლებს აიღონ ათასობით მსმენელი დაეურეკა. [illegible] ივლისს გაიმართა ერთი სპექტაკლი. დღეს, 29 ივლისს გაიმართება გურჯაანში, 30 ივლისს — დილით ყვარელში, ხალამოს — სიღნაღში.

სელოვნების ქრონიკა

რკინიგზელი სცენისმოყვარეები კოლმეურნეებთან. სოფელ დაბაძველს ამას წინათ ეწვია ქუთაისის რკინიგზელთა კლუბთან არსებული თვითმოქმედი დრამატული კოლექტივი, რომელმაც საკოლმეურნეო კლუბის სცენაზე სოფლის მშრომელებს უჩვენა სპექტაკლი, „მებებია, ილიკო და ილარიონი". კოლმეურნეები სცენისმოყვარე რკინიგზელებს გულთბილად შეხვდნენ. **(ტყიბული, საკ. კორ.).**

„ერთი დღე აგარაკზე". ონის სახალხო თეატრის კოლექტივმა რაიონული კულტურის სახლის სცენაზე დადგა ც. სოლოდარის პიესა „ერთი დღე აგარაკზე".

სპექტაკლის დადგმა განახორციელა სახალხო თეატრის რეჟისორმა რ. ტომარაძემ, მხატვრულად გააფორმა ვ. ხიდაშელმა. **(ონი, საკ. კორ.).**

იცით? ამ დღეებში მოგებათა ტირაჟია

ქალაქ ლვოვში კვირას, 30 ივლისს გამართება სახელმწიფო 3-პროცენტიანი მინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა მორიგი 82-ე ტირაჟი. სულ ტირაჟში გათამაშდება 7.440.320 მანეთის 136.000 მოგება, მათ შორის 5.000-მანეთიანი 32 მოგება.

ტირაჟის მოახლოებასთან დაკავშირებით შემნახველ სალაროებში მნიშვნელოვნად გაძლიერდა მოთხოვნილება ამ ობლიგაციებზე. საკმარისია აღინიშნოს, რომ საქართველოში მიმდინარე წელს მოსახლეობამ შეიძინა ამ სესხის 2.832.400 მანეთის ობლიგაციები. თბილისელებმა შეიძინეს 1.221.000 მანეთის ობლიგაციები, აფხაზეთის მშრომელებმა — 235.000 მანეთისა და აჭარის მშრომელებმა 112.000 მანეთისა ახალი ფულით.

სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხი ფულადი დანაზოგების შენახვის მოხერხებული და ხელსაყრელი ფორმაა.

საქართველოს შემნახველმა სალაროებმა წელს მოსახლეობას 3-პროცენტიანი სესხის ობლიგაციებზე ათასობით მოგება აუნაზღაურეს.

სესხის პირობებით გათვალისწინებულია, რომ ობლიგაციები, რომლებსაც მოგება ხვდება, მოგების გადახდისას იფარება და შემდგომ ტირაჟებში აღარ მონაწილეობს. ამავე დროს შემდგომ ტირაჟებში გასათამაშებელ მოგებათა რაოდენობა უცვლელი რჩება. ამიტომ სესხის ობლიგაციებზე მოგების შესაძლებლობა ყოველი ტირაჟის შემდეგ მატულობს.

ა. შტეინბერგი.

შეიძლება მოიგოთ „ვოლგა", „მოსკვიჩი", სახლი...

საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1961 წლის მესამე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟამდე, რომელიც ქალაქ გორში 1961 წლის 20 სექტემბერს გაიმართება, თვენახევარზე მეტი რჩება, თბილისში კი უკვე გაყიდულია ლატარიის ყველა ბილეთის თითქმის ნახევარი.

ერთ თვეზე ნაკლებ დროში საქართველოში ლატარიის 500.000-მდე ბილეთი გაიყიდა.

ქალაქ გორში ლატარიის მოგებათა ტირაჟში გათამაშდება სამი საცხოვრებელი სახლი, ოთხი ავტომანქანა „ვოლგა", და ათი ავტომანქანა „მოსკვიჩი", 25 პიანინო, ასობით მაცივარი, საკერავი მანქანა, რადიოლა, ტელევიზორი და სხვა ფასიანი ნივთები.

უკვე გაცემული და გაგზავნილია წინა ლატარიის ტირაჟში გათამაშებულ ყველა მოგებათა ნახევარზე ბევრად მეტი.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ — ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘ

თბილისის ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზი რამდენიმე დღით განკუთვნილი იყო სეზონის ერთ-ერთი ძმაზიდველი ასპარეზობისათვის — „ბუერევესტნიკის" ცენტრალურ საბჭოს ჩემპიონატისათვის მხატვრულ ტანვარჯიშში.

აქ ჩამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის უძლიერესი სპორტსმენები, მხატვრული ტანვარჯიშის გამოჩენილი ოსტატები.

ორი დღის ასპარეზობის შემდეგ, როდესაც სავალდებულო ვარჯიში ამოიწურა, ლიდერი იყო ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი სპორტის ოსტატი ნ. სალაძე, მან 38,25 ქულა შეაგროვა. მომდევნო ადგილზე იყო ი. ალფეროვა (ივანოვო, 38,05 ქულა).

ჩემპიონობის საკითხი უნდა გადაეწყვიტა დასკვნითს შეჯიბრებას, ანუ ნებისმიერ ვარჯიშს. ასპარეზობა პირველად ივანოველმა ი. ალფეროვამ დაამთავრა. მან უსაგნოდ ნებისმიერი ვარჯიშის შესრულებისას მიიღო შეფასება 9,7 ქულა, სახტუნელათი ვარჯიშისათვის — 9,4 ქულა და საერთო ჯამით 57,15 ქულა შეაგროვა.

ამის შემდეგ მას უნდა ეცადა ნ. სალაძის ვარჯიშისათვის, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა პირველობის ბედი. თბილისელმა სპორტსმენმა ნებისმიერი ვარჯიში კიდევ უფრო დახვეწილად და ოსტატურად ჩაატარა და 57,65 ქულა შეაგროვა.

ამრიგად, ნ. სალაძე „ბუერევესტნიკის" ჩემპიონი გახდა მხატვრულ ტანვარჯიშში. მეორე ადგილზე გამოვიდა ი. ალფეროვა, მესამეზე — ი. სუმაროკოვა.

ამ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის სხვა წარმომადგენლებიც კარგად გამოვიდნენ. მაგალითად, ს. მაკავიანმა, ვ. ციპლისმა, გ. ზალკინდმა, ნ. ნოვიჩენკომ და ე. ხუბულავამ სპორტის ოსტატის ნორმატივები შეასრულეს.

სურათზე: ნ. სალაძე.

ფოტო ბ. დადვაძისა.

ᲜᲐᲚᲐᲫᲔ — ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

იაკობ რილსკის ოქროს დარტყმები

ტურინი, 28 ივლისი. **(საკდესის სპეც. კორ.).** მოსკოველი იაკობ რილსკი გახდა მსოფლიო ჩემპიონი ხმლებით ფარიკაობაში. მან გაიმეორა 1958 წლის წარმატება და საბჭოთა გუნდს მოუპოვა ჩემპიონატის მთავარი საჩუქარი—„ერთა დიდი პრიზი".

ეს პრიზი ენიჭება გუნდს, რომლის წარმომადგენლებმა დაიკავეს მეტი წილი პირველი ადგილები. ტურინის შეჯიბრებებში უკვე სამჯერ შესრულდა საბჭოთა ქალშერის ჰიმნი. ახლა უკვე ვერავინ ვერ მიაღწევს ასეთ შედეგს.

„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ" ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲒᲐᲖᲔ

ᲬᲔᲚᲘ რკინიგზელ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი გაიმართა ბულგარეთში. აქ გამოდიოდნენ სსრ კავშირის, ბულგარეთის, რუმინეთისა და სხვ. გუნდები.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სოფიის „ლოკომოტივისა" და ბუქარესტის „რაპიდის" გუნდები. მძაფრ ბრძოლაში გაიმარჯვეს ბულგარელებმა ანგარიშით 1:0 და პირველი ადგილი დაიკავეს. მეორე ადგილზეა „რაპიდი".

მესამე ადგილისათვის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და პოლონეთის გუნდები. გაიმარჯვეს მოსკოვის ლოკომოტიველებმა 1:0 და მესამე ადგილი დაიკავეს.

ᲒᲐᲡᲬᲠᲔᲒᲐ

საქდესის მიზეზით გაზეთ „კომუნისტის" 27 ივლისის ნომერში გაიპარა შეცდომა. მე-3 გვერდზე „საქდესის" მიერ გამოშვებულ ინფორმაციაში — „დიდი პოეტის ხსოვნასა" პირველი სვეტის ზემოდან მესამე აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე:

მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ბ. ლომიძემ.

რედაქტორი

დ. მპელიშვილი.

ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ!

მრავალჯერ ვყოფილვარ უკრაინაში, ახლო ურთიერთობა მაქვს უკრაინის ხელოვნების მუშაკებთან, მახარებს მათი მიღწევები.

ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის ფესვები საუკუნეთა სიღრმეშია. დღეს ეს მეგობრობა მტკიცეა როგორც არასოდეს. ხშირი სტუმრები ვართ ერთმანეთისა — სასურველი სტუმრები.

შარშან ჩვენი თეატრი კიევში იყო საგასტროლოდ. რუსთაველელები მოხიბლა მასპინძელთა სტუმართმოყვარეობამ, გულთბილობამ, ყურადღებამ, რაც ესოდენ სასიამოვნოს ხდიდა ჩვენს გამოსვლებს უკრაინელი მაყურებლის წინაშე. ახლახან კიევის ივ. ფრანკოს სახელობის თეატრმა მიმიწვია რ. ებრალიძის „თანამედროვე ტრაგედიის" დასადგმელად.

ლვოველთა გასტროლები კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა თბილისის თეატრალური საზოგადოებისათვის, ჩვენი მაყურებლისათვის. იმედს გამოვთქვამ, რომ გასტროლები წარმატებით ჩაიარეს და, რაც მთავარია, კიდევ უფრო განმტკიცდება ჩვენი ხალხების მეგობრობა.

მინდა ვუსურვო ლვოვის საბჭოთა არმიის თეატრს შემდგომი წარმატება საბჭოთა თეატრალური კულტურის განვითარების საქმეში.

დიმიტრი ალექსიძე,

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

ᲕᲐᲥᲐᲡ ᲝᲠᲢᲝᲛᲔᲣᲚᲘ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ

გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა" მშვენიერი საჩუქარი უძღვნა რუს მკითხველებს — დიდი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლისთავისათვის გამოსცა პოეტის თხზულებათა ორტომეული.

პირველ ტომში დაბეჭდილია ვაჟას რჩეული ლექსები და პოემები — „გოგოთურ და აფშინა", „ალუდა ქეთელაური", „კოპალა", „ბახტრიონი", „სტუმარ-მასპინძელი", „გველის მჭამელი" და სხვ.

მეორე ტომში შეიდა ვაჟა-ფშაველას მდიდარი პროზაული მემკვიდ-



რეობის რჩეული ნაწილი, პიესა „მოკვეთილი" და მთელი რიგი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები.

ორტომეულს წამძღვარებული აქვს სიმონ ჩიქოვანის ვრცელი წინასიტყვაობა. ტომები ჩასმულია ლამაზ, ლურჯ ლიდერინის ყდაში. გამოცემა მოამზადა სარედაქციო კოლეგიამ თ. ბუაჩიძის, ბ. ჟღენტისა და ს. ჩიქოვანის შემადგენლობით.

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲐᲛᲑᲐᲠᲝᲚᲐᲕᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲛᲐᲪᲔ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲒᲣᲚᲝᲒᲐ

ᲐᲛᲑᲐᲠᲝᲚᲐᲕᲘᲡ რაიონის ხიდიკრის კოლმეურნეობის ძნით დატვირთული ავტომანქანის ძარაზე ცეცხლი გაჩნდა. მძღოლი ზ. ნატბელაძე არ დაიბნა. ამ უბანზე და ზვინებით სავსე კალოსთან გავლისას ხანძარი სხვა ობიექტებს რომ არ გადასდებოდა, მანქანას მიმართულება შეუცვალა. ბუჩქნარიან რიყეზე მანქანა მთელი სისწრაფით მიჰყავდა, რაც ხანძარს აძლიერებდა. კაბინის უკან უმნიშვნელო ნაწილს ცეცხლმოკიდებული პურის ღეროები ზურგზე ეყრებოდა, ცეცხლი პერანგს მოედო. იქმნებოდა ბენზინის ქვაბის აფეთქების საშიშროებაც, მაგრამ მამაცმა მძღოლმა მანქანა არ მიატოვა, მდინარის ნაპირთან მიიყვანა, შეაბრუნა და უკუსვლით რიონის ღრმა ფოსოში შეიყვანა.

ცეცხლმოდებული ძნები წყალმა წაიღო, ზ. ნატბელაძემ კი ნაპირზე გამოსცურა. ცეცხლმა მოასწრო ძარის უმნიშვნელო ნაწილის და კაბინის საჯდომის ნაწილობრივ დაზიანება.

ავტომანქანა შეაკეთეს და ახლა მუშაობას განაგრძობს.

ა. კერესელიძე.

ᲒᲣᲚᲐᲓᲘ ᲛᲝᲜᲐᲓᲘᲠᲔ

ᲝᲜᲘ. (საკ. კორ.). სოფელ შკმერის მკვიდრი შოთა ნაცვლიშვილი პროფესიით მწყემსია. მას მთელი რაიონი იცნობს როგორც ენერგიულ მშრომელს და პირუტყვის ერთგულ მეგობარს. მას პატივს სცემენ აგრეთვე როგორც საუკეთესო მონადირეს. შოთამ უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე ეკვსი დათვი, შვიდი მგელი და რამდენიმე მელა მოკლა. ორი წლის განმავლობაში მგლებისა და მგლის ლეკვების განადგურებისათვის ჯილდოდ 8.500 მანეთი მიიღო (ძველი ფულით).

ამას წინათ მამაცმა მონადირემ ცხრათავიანი წყაროსთან ხეობაში უეცრად დაინახა ძუ მგელი, რომელსაც შვიდი ლეკვი მიჰყვებოდა. იგრიალა თოფმა. მგელი მიწას გაერთხა. დამფრთხალმა ლეკვებმა მოკურცხლეს. მაგრამ გამოცდილმა მონადირემ ერთი მათგანი ცოცხლად შეიპყრო და სოფელში ჩამოიყვანა.

ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲠᲘᲝᲜᲘ"

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების ლიტერატურულ-მხატვრული კრებულის ჟურნალ „რიონის" მე-4 ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია ა. გურჯიძის, ა. სინაურის, გ. სამხარაძის, შ. ტოგონიძის, დ. ახობაძის, გ. იმედაძის, ზ. კუხიანიძის, შ. ნიჟარაძის, ა. ყორეოლიანის, პ. ლეთოდიანის, მ. კაკიტელაშვილის, ლ. ნუცუბიძის, ტ. მებურიშვილის, თ. აბულაძის, ს. აბდალაძის ლექსები, ს. მალაფერიძის, დ. კვიცარიძის, დ. ხუროძის, რ. ბერიძის, ნ. მარჯანიშვილის მოთხრობები; გ. მეფისაშვილის, შ. ცანავას ნარკვევები, ს. არველაძის, მ. ალავიძის, ვ. ქუთათელაძის წერილები.

ᲕᲘᲜ ᲨᲔᲔᲒᲠᲫᲝᲚᲔᲑᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲡ?

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ სამყარო დიდი ინტერესით მოელის ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირს, რომელიც ოქტომბრის პირველ რიცხვებში იწყება საკურორტო დაბა ვრიაჩკა-ბანიაში ქალაქ ნიშის (იუგოსლავია) მახლობლად. ამ ტურნირში გამარჯვებული მომავალ წელს გამართავს მატს მსოფლიოს ჩემპიონთან, საერთაშორისო ოსტატ ელისაბედ ბიკოვასთან (საბჭოთა კავშირი).

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ (ფიდემ) დაამტკიცა პრეტენდენტთა ტურნირის შემადგენლობა. აქ ითამაშებენ ოსტატები აქსტი და რინდერი (ორივე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან), კარაკაში (უნგრეთი), ნედელკოვიჩი და ლაზარევიჩი (ორივე იუგოსლავიიდან), ნიკოლაუ და პოლიქრონიადე, (ორივე რუმინეთიდან), ლეანი და გრესერი (ორივე ამერიკის შეერთებული შტატებიდან), ბორისენკო, გაფრინდაშვილი, ვოლპერტი, ხატულოვსკაია და ზვორიკინა (ხუთივე საბჭოთა კავშირიდან), სანდარგორგინ ხუნდსურენი (მონღოლეთი). ტურნირის კიდევ ერთი — მე-16 მონაწილე გამოვლინდება ბუდინიჩისა (ჩილი) და კარგიუერის (არგენტინა) მატჩის შემდეგ.

სპორტული პრესა ფართო კომენტარს უკეთებს მომავალ შეჯიბრებას. პირველი ადგილის ძირითად პრეტენდენტებად მიაჩნიათ საბჭოთა მოჭადრაკეები. მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე ვოლპერტი ყოველთვის იყო პრეტენდენტთა ტურნირებში პრიზიორთა რიგებში. მაგრამ პირველი ადგილის მოსაპოვებლად მას ხელს უშლიდა გადაჭარბებული „მშვიდობიანობა" — ყაიმების სიმრავლე. ეს დიდი გამოცდილებისა და ეიუდიციის მოჭადრაკე ამჯერად შეიცდება უფრო გაბედულად ითამაშოს. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ბორისენკო უკანასკნელ ხანებში არათანაბრად თამაშობს. მან წარუმატებლად ჩაატარა ძნელი მატჩი იუგოსლავიის ნაკრებთან. მტკიცე პოზიციური სტილის ამ მოჭადრაკეს ზოგჯერ ცაატნოტიც უშლის ხელს. ბორისენკო საუცხოოდ არის მომზადებული თეორიულად. ამ მხრივ იგი პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილეთა დიდ უმრავლესობაზე მაღლა დგას. წინა ტურნირში გამარჯვებული ზვორიკინა მსოფლიოს ჩემპიონ ბოკოვასთან დიდი მარცხის შემდეგ წარუმატებლად გამოდის. საკავშირო ჩემპიონატების უფერულად ჩატარებასთან ერთად ზვორიკინამ სუსტად ითამაშა შარშან თბილისის პირველ საერთაშორისო ტურნირში. თბილისსა და ბათუმში წელს ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირში ზვორიკინას სპორტული შედეგი (III-V ადგილი) ერთგვაროვად გაუმჯობესდა, მაგრამ მისი თამაში მაინც არ ტოვებს ძლიერ შთაბეჭდილებას. ენერგიული, მწვავე კომბინაციური სტილის მოჭადრაკეა სკკავშირო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი ზატულოვსკაია, რომელმაც უკანასკნელი წლების განმავლობაში დიდ წარმატებებს მიაღწია. საუცხოოდ თამაშობდა ზატულოვსკაია იუგოსლავიასთან ამას წინათ გამართულ მატჩში (ცნობილი საერთაშორისო ოსტატის ლაზარევიჩის წინააღმდეგ.

ჩვენი რესპუბლიკის ჭადრაკის მოყვარულები, ცხადია, დიდი ინტერესით მოელიან საქართველოს უძლიერესი მოჭადრაკის, 20 წლის ნონა გაფრინდაშვილის „ნათლობას" პრეტენდენტთა ტურნირში. რასაკვირველია, საქართველოს ჩემპიონს არც თუ ისე დიდი სატურნირო გამოცდილება აქვს. მაგრამ იგი ჯერ კიდევ შარშან წარმატებით გავიდა საერთაშორისო ასპარეზზე (II ადგილი თბილისს საერთაშორისო ტურნირში). გაფრინდაშვილის თამაში უფრო ღრმა და მრავალმხრივი გახდა. მან წელს თბილისსა და ბათუმში გამართულ საერთაშორისო ტურნირში დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი.

საბჭოთა მოჭადრაკეების მთავარი მეტოქეები პრეტენდენტთა ტურნირში იქნებიან იუგოსლავიის წარმომადგენლები ვერა ნედელკოვიჩი და მილუნკა ლაზარევიჩი. ნედელკოვიჩმა, რომელიც თავისი ქვეყნის მრავალჯერადი ჩემპიონია, მეორე ადგილი დაიკავა პრეტენდენტთა წინა ტურნირში და მძაფრ მეტოქეობას უწევდა ზვორიკინას. ნედელკოვიჩი ამჟამად საუცხოო ფორმაშია. საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მატჩში იგი ეთამაშებოდა ბორისენკოსა და ვოლპერტს, რომელთა წინააღმდეგ 6 შეხვედრიდან 5 ქულა შეაგროვა. ეს აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი იყო მატჩში. ნედელკოვიჩი, რომელსაც თამაშის აქტიური პოზიციური სტილი აქვს, თეორიის კარგი მცოდნეა. მისი მწვრთნელია მეუღლე, ცნობილი იუგოსლავიელი ოსტატი ო. ნედელკოვიჩი. იუგოსლავიის ახლანდელ ჩემპიონს მილუნკა ლაზარევიჩს არაერთხელ უთამაშია ვაჟთა საერთაშორისო ტურნირებშიც კი. ეს არის მწვავე კომბინაციური სტილის მოთამაშე, საუცხოოდ ატარებს იერიშებს. უფრო სუსტია ლაზარევიჩი ისეთ პოზიციებში, სადაც საჭიროა ფრთხილი, მაღვრული თამაში. დანარჩენ უცხოელ მოჭადრაკეებს, განსაკუთრებით კი გრესერსა და რინდერს ხელ-ფეხ-ბაბ-ბ-ბ-